



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №8/19

2017 წლის 30 მარტი
ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ცალი ბრეინ რინგის ელექტროსისტემის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ 1 (ერთი) ცალი ბრეინ რინგის ელექტროსისტემა (დროის აღრიცხვის სისტემა) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას (სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №37 22.02.2017 წ; მიღება-ჩაბარების აქტი №55 23.02.2017 წ).

ამასთან, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი 2017 წლის 28 თებერვლის №შ/113 მოხსენებითი ბარათით ითხოვს ზემოთხსენებული 1 (ერთი) ცალი ბრეინ რინგის ელექტროსისტემის სამსახურისათვის სარგებლობაში გადაცემას.

ამდენად, მიზანშეწონილია განხორციელდეს 1 (ერთი) ცალი ბრეინ რინგის ელექტროსისტემის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისათვის სარგებლობაში გადაცემა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ცალი ბრეინ რინგის ელექტროსისტემა პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით სამსახურეობრივი სარგებლობის მიზნით გადასცეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს.

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 30 მარტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია